# კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის ანალიზი

(პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ბუღალტრული აღრიცხვა'' 2019, 2021 წლის მიღების ჯგუფების)

კოლეჯი ერქვანი, პერიოდულად ატარებს კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევას, სწავლის დასრულებიდან სამი წლის განმავლობაში.

გამომდინარე აქედან, კოლეჯში შემუშავებული შიდა კითხვარის გამოყენებით , 2024 წლის ნოემბერი-დეკემბერის პერიოდში, ჩატარდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ბუღალტრული აღრიცხვა'' კურსდამთვარებულების კმაყოფილების კვლევა (2019 ,2021 წლის მიღების ჯგუფების კურსდამთავრებულებისთვის). კვლევა თითოეული ჯგუფის კურსდამთავრებულებისთვის ჩატარდა დიფერენცირებულად. შესაბამისად, კვლევის შედეგებს წარმოგიდგენთ თითოეული ჯგუფისთვის ინდივიდუალურად.

**კვლევის მიზნები:**

- კურსდამთავრებულები რა გზებით იღებდნენ ინფორმაციას მათთვის სასურველი პროგრამების შესახებ.
- რა იყო კურსდამთავრებულების მოლოდინები და რამდენად გამართლდა ისინი
- დასაქმების მაჩვენებლის განსაზღვრა
- როგორია დასაქმებული კურსდამთავრებულების საშუალო ანაზღაურება
- დასაქმებული კურსდამთავრებულები, პროგრამაზე სწავლისას შეძენილ რომელ უნარებსა და კომპეტენციებს იყენებენ თავიანთი საქმიანობის განსახორციელებლად;
- კურსდამთავრებულებს რა უნარების/კომპეტენციების განვითარება სჭირდებათ თავიანთი საქმიანობის ეფექტურად შესრულებისთვის.

## ,,ბუღალტრული აღრიცხვა'' -2019 მიღება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ბუღალტრული აღრიცხვა'' ,2019 წლის მიღების N 1-ლ სასწავლო ჯგუფის კურსდამთავრებულთა რაოდენობაა 9. კოლეჯის კვლევაში მონაწილეობა მიიღო 8 მათგანმა, მათ მიერ სწავლის დასრულებიდან გასულია 3 წელი.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რა გზებით მიიღეთ ინფორმაცია სასურველი პროგრამის შესახებ? (შეგიძლიათ მონიშნოთ რამოდენიმე პასუხი)

8 responses




სასწავლო პროცესის დაწყებამდე რა იყო თქვენი მოლოდინები პროგრამის შესახებ?

4 responses




საგანმანათლებლო პროგრამამ გაამართლა თუ არა თქვენი მოლოდინები?

8 responses



რა არის თქვენი ამჯამინდელი სტატუსი:

8 responses




თუკი ხართ დასაქმებული, როგორია თქვენი ანაზღაურება:

6 responses




თუკი დასაქმებული ხართ, პროგრამაზე სწავლისას მიღებული რომელი უნარები/კომპეტენციები არის მნიშვნელოვანი თქვენი ამჟამინდელი საქმიანობის შესასრულებლად ? (შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე პასუხი)

7 responses






## კვლევის ძირითადი მიგნებები

კვლევის თანახმად N 1-ლი სასწავლო ჯგუფის:

- კურსდამთავრებულებმა მათთვის სასურველი პროგრამის შესახებ ინფორმაცია ძირითადად მიიღეს , სოციალური ქსელის მეშვეობით, კოლეჯის თანამშრომლებისგან ,კოლეჯში ვიზიტისას.

- კურსდამთავრებულებისთვის მოლოდინები უკავშირდებოდა პროფესიის შესწავლას, პროფესიის შეძენას, დასაქმებას;გამოკითხული 8 კურსდამთავრებულიდან -6 ამბობს ,რომ მათი მოლოდინები სრულად გამართლდა, ხოლო 2 ამბობს რომ მისი მოლოდინები გამართლდა ნაწილობრივ;

- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი: გამოკითხული 8 კურსდამთავრებულიდან -დასაქმებულია პროფესიით-1 კურსდამთავრებული; თვითდასაქმებული პროფესიით -3კურსდამთავრებული; დასაქმებული სხვა მიმართულებით-3კურსდამთავრებული; უმუშევარი -1 კურსდამთავრებული;

- დასაქმებული კურსდამთავრებულთა უმრავლესობის ხელფასი მერყეობს 600-დან -1000 ლარამდე;

- დასაქმებული კურსდამთავრებულები პროგრამაზე სწავლისას მიღებული უნარები/კომპეტენციებიდან, თავიანთი საქმიანობის შესრულებისას იყენებენ - თეორიულ ცოდნას, პრაქტიკულ ცოდნასა ,კომპიუტერულ უნარებს, უცხოურ ენას, გუნდური მუშაოების უნარს;

- კითხვაზე რა უნარების/კომპეტენციების განვითარება გჭირდებათ თქვენი ამჟამინდელი საქმიანობის შესასრულებლად. გამოკითხული პროფესიით დასაქმებული კურსდამთავრებულებიდან : 1- ასახელებს პრაქტიკულ ცოდნასა და კომპიუტერულ უნარებს;

გამოკითხული სხვა მიმართულებით დასაქმებული კურსდამთავრებულებიდან: 1- ასახელებს უცხოურ ენას; 1-თეორიულ ცოდნას, 1- პრაქტიკულ ცოდნას;

1 -კურსდამთავრებული ამბობს, რომ ამჟამინდელი საქმიანობის შესასრულებლად არ საჭიროებს აღნიშნული უნარების განვითარებას;

## ,,ბუღალტრული აღრიცხვა'' -2021 მიღება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ბუღალტრული აღრიცხვა'' ,2021 წლის მიღების N მე-6 სასწავლო ჯგუფის კურსდამთავრებულთა რაოდენობაა 7. კოლეჯის კვლევაში მონაწილეობა მიიღო 6 მათგანმა, მათ მიერ სწავლის დასრულებიდან გასულია 1 წელი.




სასწავლო პროცესის დაწყებამდე რა იყო თქვენი მოლოდინები პროგრამის შესახებ?

6 responses

- მაქსიმალურად ავითვისებდი პროგრამას
- შევისწავლიდი ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებს
- პროფესიის შესწავლა და დასაქმება
- .
- სრულყოფილი სწავლა
- პროფესიული უნარების დახვეწა და განვითარება

საგანმანათლებლო პროგრამამ გაამართლა თუ არა თქვენი მოლოდინები?

6 responses

Copy chart




რა არის თქვენი ამჟამინდელი სტატუსი:

6 responses

Copy chart




თუკი ხართ დასაქმებული, როგორია თქვენი ანაზღაურება:

6 responses

Copy chart









## კვლევის ძირითადი მიგნებები

კვლევის თანახმად N მე-6 სასწავლო ჯგუფის:

- კურსდამთავრებულებმა მათთვის სასურველი პროგრამის შესახებ ინფორმაცია ძირითადად მიიღეს , სოციალური ქსელის მეშვეობით, კოლეჯის თანამშრომლებისგან ,კოლეჯში ვიზიტისას, საინფორმაციო ბუკლეტის საშუალებით;
- სწავლის დაწყებამდე კურსდამთავრებულებისთვის მოლოდინები უკავშირდებოდა- პროფესიის შესწავლა და დასაქმებას, პროფესიული უნარების დახვეწა და განვითარებას; ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების შესწავლას; გამოკითხული 6 კურსდამთავრებულიდან : 5 -ის თქმით მათი მოლოდინები სრულად გამართლდა, ხოლო 1 ამბობს რომ მისი მოლოდინები გამართლდა ნაწილობრივ;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი: გამოკითხული 6 კურსდამთავრებულიდან -დასაქმებულია პროფესიით-3 კურსდამთავრებული;

თვითდასაქმებული პროფესიით -1 კურსდამთავრებული; დასაქმებული სხვა მიმართულებით-2 კურსდამთავრებული;

• დასაქმებული კურსდამთავრებულთა უმრავლესობის ხელფასი მერყეობს 600-დან -1000 ლარამდე;

• დასაქმებული კურსდამთავრებულები პროგრამაზე სწავლისას მიღებული უნარები/კომპეტენციებიდან, თავიანთი საქმიანობის შესრულებისას იყენებენ - თეორიულ ცოდნას, პრაქტიკულ ცოდნასა ,კომპიუტერულ უნარებს, უცხოურ ენას, გუნდური მუშაოების უნარს; ანალიტიკურ აზროვნებს;

• კითხვაზე რა უნარების/კომპეტენციების განვითარება გჭირდებათ თქვენი ამჟამინდელი საქმიანობის შესასრულებლად. გამოკითხული პროფესიით დასაქმებული კურსდამთავრებულებიდან : 3-ასახელებს პრაქტიკულ ცოდნას; მათ შორის 1 კურსდამთავრებული პრაქტიკულ ცოდნასთან ერთად ასახელებს კომპიუტერულ უნარებს;

გამოკითხული სხვა მიმართულებიტ დასაქმებული კურსდამთავრებულებიდან: 1 ასახელებს-თეორიულ ცოდნას, პრაქტიკულ ცოდნას,კომპიუტერულ უნარებს,ანალიტიკურ აზროვნებას, გუნდური მუშაობის უნარს; 1 კურსდამთავრებული კი მხოლოდ უცხოურ ენას;

## პროგრამის ჭრილში დასაქმების მაჩვენებლის საერთო სურათი

კოლეჯი უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ,,ბუღალტრულ აღრიცხვას'' ახორციელებს 2019 წლიდან. ამ მომენტისთვის, ორმა ჯგუფმა დაასრულა სწავლა. სულ გვყავს 16 კურსდამთავრებული.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 14-მა კურსდამთავრებულმა.აქედან, პროფესიით დასაქმებული არის 8 ( დასაქმებული პროფესიით -4 ; თვითდასაქმებული პროფესიით -4)

5 -არის დასაქმებული სხვა მიმართულებით, ხოლო 1 არის უმუშევარი. აღსანიშნავია, რომ კურსდამთავრებულები, რომლებიც სხვა მიმართულებით არიან დასაქმებულები, იყენებენ იმ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც მათ ამ პროგრამაზე სწავლის პროცესში შეიძინეს.

დასაქმებისუნარიანობის მაჩვენებელი (ჯამურად ორივე ჯგუფის კურსდამთავრებულებისთვის) პროცენტულად ესე გამოიყურება :

- გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 57.14% -დასაქმებულია პროფესიით;
- გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 35.71%-დასაქმებულია სხვა მიმართულებით
- გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 7.14%-არის უმუშევარი.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა'' უზრუნველყოფს დასაქმების უნარიანობას და რეალურ ღირებულებას სთავაზობს მის კურსდამთავრებულებს.